

# ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო"

## საპროექტო განაცხადის ფორმა

რეგისტრაციის №

17680

პროექტის სათაური ქართულად:

საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ანაკლიაში, მესტიასა და კობულეთში

პროექტის სათაური ინგლისურად

Promotion of Protection of the Property Rights in Anaklia, Mestia and Kobuleti

განმცხადებლის სტატუსი:

X

ორგანიზაცია

კერძო პირი

საინიციატივო ჯგუფი

განმცხადებელი

სახელი (ქართულად):

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სახელი(ინგლისურად):

Georgian Young Lawyers' Association

მისამართი:

თბილისი, ჯ. კახიძის ქ. #15, 0102;

ინდექსი / ქალაქი/ ქუჩა

ტელეფონი:

877 400 744

მობილური

93 61 01

ოფისის

92 32 11

ფაქსი

სახლის

ელ-ფოსტა:

gyla@gyla.ge

პროექტის ავტორი


სახელი:

თამარ ხიდაშელი

მისამართი:

კრილოვის ქ.#15

ინდექსი / ქალაქი/ ქუჩა



ტელეფონი: 877 400 744

მობილური

93 61 01

ოფისის

92 32 11

ფაქსი

სახლის

ელ-ფოსტა: tamarkhidasheli@gyla.ge



სახელი: თამარ ხიდაშელი

მისამართი: კრილოვის ქ.#15

ინდექსი / ქალაქი / ქუჩა

ტელეფონი: 877 400 744

მობილური

93 61 01

ოფისის

92 32 11

ფაქსი

სახლის

ელ-ფოსტა: tamarkhidasheli@gyla.ge



პროექტის დაწყების თარიღი: 01/01/2011

რიცხვი/თვე/წელი

პროექტის დასრულების თარიღი: 01/01/2012

რიცხვი/თვე/წელი

ფონდიდან მოთხოვნილი თანხა: 96000.00 USD \$

დაფინანსება სხვა წყაროდან: - USD \$

პროექტის საერთო ღირებულება: - USD \$

მე, ზემოხსენებული პროექტის დირექტორი ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ ფონდიდან მიღებულ ყოველგვარ ფინანსურ ან მატერიალურ დახმარებას გამოვიყენებ ისე, როგორც გათვალისწინებულია პროექტით. მე თანახმა ვარ დავიცვა ფონდის მიერ დადგენილი ანგარიშგების წესები. პროექტის განხორციელებაში დაშვებული დარღვევების შემთხვევაში, თანახმა ვარ გრანტის სახით მიღებული თანხა და ამ თანხით შეძენილი ქონება დავუბრუნო ფონდს, მისი გადაწყვეტილების შესაბამისად

პროექტის დირექტორის ხელმოწერა

თარიღი

კოორდინატორის ხელმოწერა

თარიღი

## კოალიციური პროექტი

### “საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ ზონებში“

პროექტის სახელწოდება: “საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ ზონებში“

პროექტის ტიპი: კოალიციური პროექტი

განმცხადებელი ორგანიზაცია: “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია”

პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციები: “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია”,  
“საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო”, “საქართველოს რეგიონული მედია ასოციაცია”,  
“ასოციაცია მწვანე ალტერნატივა”

პროექტის ვადა: 2011წ. 15 იანვარი - 2012 წ. 15 იანვარი

პროექტის ბიუჯეტი: 96,000 აშშ დოლარი

დონორი: ფონდი “ღია საზოგადოება - საქართველო”

ნოემბერი 2010

## 1. პრობლემის განსაზღვრა

უკანასკნელ წლებში საქართველოში არაერთი მსხვილმასშტაბიანი ინფრასტრუქტურული, ენერგეტიკული თუ ტურისტული პროექტი განხორციელდა, რომელთაც დადებით შედეგებთან ერთად ხშირად თან ახლდა ამა თუ იმ პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანების იძულებითი გადასახლება. იძულებითი გადასახლება როგორც წესი, უკავშირდება სახლის, თავშესაფრის, შემოსავლის, მიწის, საარსებო გარემოს, ქონების, რესურსებსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის დაკარგვას. განსახლება (resettlement) კი, იძულებით გადასახლებულთა მიმართ დახმარების გაწევის პროცესია, რათა მათ აღიდგინონ დაკარგული სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული პირობები. იმ შემთხვევაში, თუ განვითარების პროექტების განხორციელებისას, ადგილი აქვს იძულებით გადასახლებას, მნიშვნელოვანია, რომ პროექტების დაგეგმვისას ადრეულ ეტაპზე იქნეს დადგენილი განსახლების/ გადასახლების საჭიროება, დეტალურად დაიგეგმოს და შემდგომ მონიტორინგი გაეწიოს განსახლების პროცესს, რათა საბოლოო ჯამში, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი გადასახლების საჭიროება და გადასახლებულმა ადამიანებმა აღიდგინონ გადასახლებით გამოწვეული დანაკარგები.

იმდენად, რამდენადაც საქართველოს დღემდე არ გააჩნია სახელმწიფო პოლიტიკა განსახლების/გადასახლების სფეროში, საქართველოში განხორციელებულ პროექტებში გამოყენებული პრაქტიკა ხშირად განსხვავებულია. მიდგომა, როგორც წესი, დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა ჩართული პროექტში ესა თუ ის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი. პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე იძულებითი განსახლების შემთხვევაში, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები შეზღუდულნი არიან საკუთარი „ოპერაციული პოლიტიკით“ (operational policies), რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა მიდგომები, წესები და პროცედურები უნდა იქნეს გამოყენებული ასეთ შემთხვევებში. შედეგად, პროექტები, სადაც ეს ინსტიტუტები მონაწილეობენ, ხორციელდება სწორედ ამ პოლიტიკის შესაბამისად. თუ პროექტი ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის/მთავრობის ინიცირებით და მასში არ არის ჩართული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, როგორც წესი, გადასახლების პროცესი არ არის კარგად დაგეგმილი და შესაბამისად, პროექტის განხორციელებისას თავს იჩენს არაერთი პრობლემა, ხშირად ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა დარღვევასაც.

ინფრასტრუქტურული განვითარების პარალელურად გამოიკვეთა ახალი ტურისტული ზონები, რომელთა მიმართ იზრდება დაინტერესება როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე პოტენციური ინვესტორების მხრიდან. ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრების მიმართ გამძაფრებული ინტერესის ფონზე, არაერთხელ დაფიქსირდა ამგვარ ზონებში საკუთრების უფლების შელახვის ფაქტები. განსაკუთრებით მწვავეა მდგომარეობა სვანეთში, სადაც მოსახლეობას, როგორც წესი, არ აქვს რეგისტრირებული უძრავი ქონება, რომელსაც ისინი საუკუნეების განმავლობაში ფლობდნენ. ასეთ სიტუაციაში ინფორმაციის ნაკლებობისა და სათანადო სამართლებრივი მხარდაჭერის გარეშე ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად ხდება უკანონო მოპყრობისა და უფლებების შელახვის მსხვერპლი.

მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძოდ უფლებადამცველ ორგანიზაციათა მხრიდან სათანადო ყურადღების მიქცევა ანაკლიაში, მესტიასა და ქობულეთში საკუთრების უფლების დაცვის საკითხებზე. განსაკუთრებით აქტუალურია საკუთრების უფლების დაცვის კონტექსტში ადგილობრივი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, სათანადო სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფა და განსახლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების ლობირება.

## 2. მიზანი

პროექტის მიზანია საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ რეგიონებში (ანაკლია, მესტია, ქობულეთი) და კანონით, კონსტიტუციითა და საერთაშორისო ნორმებით აღიარებული საკუთრების უფლებისა და გარანტიების პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა.

საკუთრების ხელყოფის საფრთხეების შემცირება და მოსახლეობის საკუთრების უფლების დაცვის ხარისხის გაუმჯობესება, შესაბამისი მედია კამპანიის, სამართლებრივი დახმარების, მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებისა და „განსახლების“ პოლიტიკის შემუშავების ინიცირების გზით;

## 3. ამოცანები

ა) ანაკლიაში, მესტიასა და ქობულეთში ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება საკუთრების უფლებით ეფექტურად სარგებლობისათვის აუცილებელი ღონისძიებების შესახებ, მათ შორის ქონების დაკანონებისა და რეგისტრაციის შესახებ;

ბ) მედია კამპანიის ორგანიზება ანაკლიაში, მესტიასა და ქობულეთში საკუთრების უფლების დარღვევის ტენდენციებთან და აღნიშნული უფლების დაცვისათვის აუცილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით;

გ) სწორი განსახლების სახელმწიფო პოლიტიკის არსებობის აუცილებლობაში ხელისუფლების დარწმუნება და პოლიტიკის შემუშავების ინიცირება;

დ) საკუთრების დაცვის საკითხებზე კვალიფიციური უფასო სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფა და სტრატეგიული სამართალწარმოება;

ე) შესაბამისი მედია კამპანიის ორგანიზებით ქვეყნის მასშტაბით საკუთრების უფლების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება და დარღვევების პრევენცია.

ვ) არასამთავრობო ორგანიზაციების როლის გაზრდა საკუთრების უფლებების დაცვაში და მიუკერძოებელი წყაროებით საზოგადოების აზრის ფორმირება ქვეყანაში საკუთრების უფლებების მდგომარეობის შესახებ.

## 4. განხორციელების გზები

**4.1 ინფორმაციის მოძიება და საქმიანობის დაგეგმვა** (მონაწილეობენ: ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, რეგიონული მედია ასოციაცია, მწვანე ალტერნატივა)

### ა) სამიზნე რეგიონებში გასვლა

პროექტის დასაწყისში აუცილებელია პროექტის სამიზნე ჯგუფებში (ანაკლიის, მესტიისა და ქობულეთის მოსახლეობა) საკუთრების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის და პრობლემების დეტალური კვლევა. აღნიშნული გარემოს შესასწავლად პროექტის

განმახორციელებელი ორგანიზაციები გაერთიანებული ძალებით ჩამოაყალიბებენ ე.წ. ფაქტების დამდგენი მისიას, რომელშიც შევა პროექტში მონაწილე ყველა ორგანიზაციის თითო ან ორ-ორი წარმომადგენელი და რომელიც საკუთრების უფლების მხრივ არსებულ მდგომარეობას შეისწავლის ადგილზე მოსახლეობასთან შეხვედრებისა და გამოკითხვის გზით. აღნიშნული გამოკითხვების ჩასატარებლად მისია გამოიყენებს წინასწარ შემუშავებულ კითხვარებს.

ოფიციალური ინფორმაციის მოძიება ასევე მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.

#### **ბ) ანგარიშის გამოქვეყნება საკუთრების უფლების დაცვის საკითხებზე**

მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდება შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც დეტალურად ასახავს ანაკლიაში, მესტიასა და ქობულეთში საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებს. აღნიშნული ანგარიშის შედეგები საზოგადოებას წარედგინება სპეციალურად გამართულ პრეზენტაციაზე.

ანგარიშის შედეგები გამოყენებულ იქნება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვის სტრატეგიის შესამუშავებლად და განსაკუთრებულად პრობლემატური საკითხების გამოსაკვეთად.

### **4.2 საზოგადოების ინფორმირება, მედია-კამპანია და ადვოკატირება** (განმახორციელებლები: პროექტში ჩართული ოთხივე ორგანიზაცია)

**ა) მოსახლეობის ინფორმირება** (ძირითადი განმახორციელებლები ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ქუთაისისა და აჭარის ფილიალები, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო სამეგრელოს ფილიალი, რეგიონული მედია ასოციაცია, მწვანე ალტერნატივა)

ანაკლიაში, მესტიასა და ქობულეთში ადგილობრივ მოსახლეობასთან საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით გაიმართება შეხვედრები, რომელთა მიზანი იქნება მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ თუ როგორ უნდა დაიცვან საკუთრება. აქცენტი გაკეთდება შემდეგ საკითხებზე: საკუთრების სტატუსის გარკვევა (დარეგისტრირებულია თუ არა მათი საკუთრება); ქონების დაკანონების გზები; უძრავი ქონების რეგისტრირება საჯარო რეესტრში; აუცილებელი დოკუმენტების მოპოვების წესები და ა.შ.

აღნიშნულ საქმიანობაში ჩართული იქნება პროექტში მონაწილე ოთხივე ორგანიზაცია. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აღნიშნულ ღონისძიებაში წარმოდგენილი იქნება ქუთაისისა და აჭარის ფილიალების მიერ, ხოლო „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სამეგრელოს ოფისის მიერ, რომელიც გაიხსნება 2011 წლის თებერვლიდან.

სულ პროექტის ფარგლებში გაიმართება ოთხი შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან და გავრცელდება წინასწარ მომზადებული საინფორმაციო ფურცლები და ბროშურები.

**ბ) მედია კამპანია** (ძირითადი განმახორციელებელი: რეგიონული მედია ასოციაცია. დამხმარე ორგანიზაციები: საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია)

პროექტის ფარგლებში დაიწყება აქტიური მედია კამპანია ანაკლიაში, მესტიასა და ქობულეთში საკუთრების უფლების დაცვის მიზნით. ერთის მხრივ აღნიშნულ კამპანიას ექნება საგამომიებო დატვირთვა, მოხდება არსებული პრობლემების, კონკრეტული დარღვევების მოძიება და გაშუქება, ხოლო მეორეს მხრივ მედია კამპანიას ექნება საინფორმაციო დატვირთვა და

მოსახლეობას მიაწვდის ინფორმაციას საკუთრების უფლების დაცვის გზებთან და მეთოდებთან დაკავშირებით. მედია კამპანიის წარმოება მოხდება ძირითადად სამიზნე რეგიონებში, ისევე როგორც ცენტრალურ მედია საშუალებებში.

მედია კამპანიის ფარგლებში ყოველთვიურად მომზადდება ბეჭდური და სატელევიზიო მასალები:

- საგამოძიებო სტატიებსა და მასალებში ყურადღება გამახვილდება საკუთრების უფლების დარღვევის ტენდენციებთან დაკავშირებით და განხილული იქნება კონკრეტული ფაქტები;

- საინფორმაციო სახის მასალები განთავსდება ადგილობრივი გაზეთის ყოველ ნომერში. გაზეთში გამოქვეყნდება საკუთრების რეგისტრირებასთან დაკავშირებით საინფორმაციო დატვირთვის მქონე სტატიები. აქვე მიეთითება სპეციალურად შექმნილი ცხელი ხაზის ნომერი, რომლის მეშვეობით დაინტერესებული პირები ნებისმიერ დროს მიიღებენ უფასო სამართლებრივ კონსულტაციას;

- მომზადდება ორენოვანი (ქართული და ინგლისური) ბლოგ-პოსტები, რომლებშიც აქცენტი გაკეთდება სამიზნე ჯგუფებში საკუთრების დაცვის მხრივ არსებულ პრობლემებზე. აღნიშნული ბლოგ-პოსტები განთავსდება პროექტის მონაწილე ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული პირების ვებ-გვერდებზე და გავრცელდება facebook-ისა და ელექტრონული მეილების მეშვეობით;

- პროექტის ფარგლებში მოძიებული ინფორმაცია საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით მიეწოდება ადგილობრივ და საერთაშორისო მედია საშუალებებს. ასევე ვითანამშრომლებთ საგამოძიებო ჟურნალისტიკაში მდიდარი გამოცდილების მქონე ორგანიზაციებთან როგორცაა სტუდია „მონიტორი“ და GNS სტუდია.

- ჟურნალისტური ქსელის მეშვეობით, ყოველთვიურად მომზადდება შესაბამის რეგიონში საკუთრების უფლების დარღვევებთან დაკავშირებული ჟურნალისტურ მოკვლევები. მასალები (მათ შორის ფოტომასალა) თავს მოიყრის საგაზეთო დამატებაში, რომელიც დაიბეჭდება ყველა გაზეთისთვის და გავრცელდება ”რეგიონული მედია ასოციაციის” ქსელით. ამგვარი ”ნაკრები” საშუალებას მოგვცემს საზოგადოებას მივაწოდოთ საქართველოში არსებული სურათის სრული პანორამა და დავამზადოთ ნაბეჭდი პროდუქცია, რომელიც გამოყენებადი იქნება, როგორც ჟურნალისტების მიერ მოკვლევული ფაქტებით გამყარებული დოკუმენტი.

- მომზადდება სატელევიზიო მასალები რეგიონალური მედია ასოციაციის პარტნიორი ორგანიზაციის - რეგიონული მაუწყებლების ასოციაციის დახმარებით და ეს მასალები გავრცელდება ამ ორგანიზაციის ქსელის მეშვეობით. ამ ასოციაციის წევრი ტელევიზიების მუშაობის სტილის გათვალისწინებით, აქცენტი გამახვილებული იქნება აუდიტორიისთვის საგანმანათლებლო მასალების მიწოდებაზე.

- რეგიონალური მედია ასოციაცია ცენტრალიზებული სახით, ფასდაკლებით შეისყიდის ფართს შერჩეულ, მაღალტირაჟიან გამოცემებში, სადაც შესაძლებელი იქნება სასურველი ინფორმაციის განთავსება. და ასევე ორგანიზებას გაუწევს კონსულტაციებს ონლაინ რეჟიმში. ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვების პასუხები გამოქვეყნდება მონაწილე გაზეთებში, მათ ვებ-გვერდებზე, ასოციაციის ვებ-გვერდზე.

ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობების ძირითადი განმახორციელებელი იქნება საქართველოს რეგიონული მედია ასოციაცია. აღნიშნული საქმიანობების სამართლებრივ უზრუნველყოფაზე

პასუხისმგებელი იქნება საქართველოს ახლგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო.

**გ) განსახლების/გადასახლების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და მიღებისთვის ადვოკატირება** (ძირითადი განმახორციელებელი: ასოციაცია მწვანე ალტერნატივა. დამხმარე ორგანიზაცია: საქართველოს ახლგაზრდა იურისტთა ასოციაცია)

*ანალიტიკურ დოკუმენტის მომზადება განსახლების საკითხებზე*

პროექტის ფარგლებში ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ მომზადებს ანალიტიკურ დოკუმენტს განსახლების საკითხებზე, სადაც განხილული იქნება განსახლების/გადასახლების სფეროში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიდგომები/პოლიტიკა, სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას გამოყენებული საუკეთესო პრაქტიკები, ასევე მიმოხილული იქნება საქართველოში დღემდე გამოყენებული პრაქტიკა. ანგარიშში ასევე წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები ამ სფეროში გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ. ანგარიშის შედგენისას გამოყენებული იქნება როგორც თეორიული (desk study), ისე ადგილზე კვლევის (კონკრეტული პრობლემების გამოვლენა/შესწავლა ადგილზე - სამიზნე დასახლებებში - ანაკლია, ქობულეთი, მესტია) მეთოდები.

ანგარიში განხილული იქნება პროექტში მონაწილე ყველა ორგანიზაციის მიერ და ასევე ჩატარდება დისკუსია „მრგვალი მაგიდის“ ფორმატში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. შენიშვნებისა და კომენტარების მიღების შემდეგ, ანგარიში მიიღებს საბოლოო სახეს და გამოქვეყნდება ინგლისურ და ქართულ ენებზე როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით.

*პოზიციის გამომხატველი დოკუმენტის მომზადება*

ზემოაღნიშნული ანალიტიკური სამუშაოს ჩატარებისა და ანგარიშის საფუძველზე, მომზადდება პროექტში მონაწილე ორგანიზაციების პოზიციის გამომხატველი დოკუმენტი - პოზიცია - სადაც აისახება პარტნიორების რეკომენდაციები განსახლების/გადასახლების სფეროში გასატარებელ აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ.

დოკუმენტის პროექტი განხილული იქნება პროექტის პარტნიორების მიერ და საბოლოო სახით ჩამოყალიბების შემდეგ, ითარგმნება ასევე ინგლისურ ენაზე. ორივე ქართული და ინგლისური ვერსია განთავსდება პარტნიორების ვებ-გვერდებზე და გამოყენებული იქნება პროექტის სხვა საქმიანობის მიზნების ხელშეწყობისთვის, განსაკუთრებით, განსახლების სფეროში აუცილებელი ღონისძიებების გატარებისათვის ლობირების განხორციელებისას.

*განსახლების სფეროში აუცილებელი ღონისძიებების გატარების ლობირება*

პროექტის საქმიანობების განხორციელების შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება გადაწყვეტილების მიღების შესაბამის დონეზე, ასევე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების არსებულ პრაქტიკაში ცვლილებების ლობირებისათვის. პარტნიორები გამოიყენებენ ლობირების ყველა შესაძლო გზას, მათ შორის: შესაბამისი უწყებებისთვის/ ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის მიწოდება; შეხვედრები/მრგვალი მაგიდები გადაწყვეტილებათა მიმღებ პირებთან; სხვადასხვა შეხვედრებზე შესაბამისი საკითხების წამოწევა; შესაბამისი ორგანიზაციებისათვის მიმართვების დაგზავნა, სტატიების გამოქვეყნება და სხვა.



### *საკანონმდებლო წინადადების მომზადება*

ანალიტიკური დოკუმენტის საფუძველზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გამოკვეთს საკანონმდებლო ნორმებს, რომლებიც საჭიროებენ დახვეწას და მოამზადებს საკანონმდებლო წინადადების პაკეტს, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

განსახლების/გადასახლების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების და ლობირების კომპონენტში ჩართული იქნება პროექტის განმახორციელებელი ოთხივე ორგანიზაცია.

### **4.3. მოსახლეობის იურიდიული დახმარება**

**ა) ცხელი ხაზი** (ძირითადი განმახორციელებელი: საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო)

ანაკლიის, მესტიის და ქობულეთის მოსახლეობისათვის კვალიფიციური სამართლებრივი მომსახურების სწრაფად და უფასოდ მიწოდებისათვის იმუშავებს ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერი დაინტერესებული პირი მიიღებს სამართლებრივ კონსულტაციას. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ოფისში უკვე მოქმედებს ცხელი ხაზი, რომელიც უფასოა ყველა მობილური ოპერატორისათვის. პროექტის ფარგლებში მოხდება აღნიშნული ცხელი ხაზის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და რეკლამირება.

**ბ) იურიდიული დახმარების პუნქტების ორგანიზება** (ძირითადი განმახორციელებელი: საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია)

პროექტის ფარგლებში გამოიყოფა ორი იურისტი, რომლებიც კონსულტაციას გაუწევენ დაინტერესებულ მოსახლეობას. კერძოდ, ქობულეთის მოსახლეობას მოემსახურება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალი, ხოლო ანაკლიასა და მესტიას „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სამეგრელოს ოფისს მიმაგრებული იურისტი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ასევე განახორციელებს საკუთრების უფლებებთან დაკავშირებით შემოსული საქმეების სასამართლო მონიტორინგს.

### **4.4 მოსახლეობის გამოკითხვა მიღებული შედეგების შემოწმების მიზნით**

(განმახორციელებლები: პროექტში ჩართული ოთხივე ორგანიზაცია)

პროექტის დასასრულს ხელმეორედ ჩატარდება პროექტის სამიზნე ჯგუფებში (ანაკლიის, მესტიისა და ქობულეთის მოსახლეობა) საკუთრების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის და პრობლემების დეტალური კვლევა, რომელიც საკუთრების უფლების მხრივ არსებულ მდგომარეობას შეისწავლის ადგილზე მოსახლეობასთან შეხვედრებისა და გამოკითხვის გზით. აღნიშნული შესაძლებლობას მოგვცემს შევაფასოთ პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგი და პროექტის დასასრულს არსებული მდგომარეობა.

### **4.5. საჯარო პრეზენტაციები** (განმახორციელებლები: პროექტში ჩართული ოთხივე ორგანიზაცია)

პროექტის ფარგლებში მოეწყობა ორი საჯარო პრეზენტაცია პროექტის შედეგების გავრცელების მიზნით, სადაც მოწვეული იქნებიან საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიის წარმომადგენლები, პარლამენტისა და მთავრობის წევრები.

## 5. მოსალოდნელი შედეგები

პროექტის შედეგად მოსალოდნელია ანაკლიაში, მესტიასა და ქობულეთში ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრების უფლების დაცვის ხარისხის გაუმჯობესება, კერძოდ:

- ამაღდება მოსახლეობის ინფორმირების დონე საკუთრების უფლების დაცვასთან მიმართებით;
- მოსახლეობა დაიკანონებს ქონებას და შესაბამისად შემცირდება საკუთრების ხელყოფის საფრთხე;
- გაჩნდება უფასო და კვალიფიციურ სამართლებრივი კონსულტაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის;
- შემცირდება განვითარების (მათ შორის, ტურიზმის) პროექტების განხორციელებისას საკუთრების უფლების ხელყოფის შემთხვევების ალბათობა, როგორც სამიზნე, ისე საქართველოს სხვა რეგიონებში;
- საკუთრების უფლების ხელყოფის გადასაჭრელად მუშაობა დაიწყება სახელმწიფო დონეზე - მოხდება განსახლების სახელმწიფო პოლიტიკის ინიცირება, რაც იმის გარანტი იქნება, რომ პროექტის დასრულების შემდეგაც გაგრძელდება მოსახლეობის ინტერესების დაცვა, რაც პროექტის მდგრადობის მაჩვენებელია.

## 6. მონიტორინგი და შეფასება

პროექტის ფარგლებში მომზადდება სამი პერიოდული და ერთი საბოლოო ანგარიში. დონორთან ანგარიშგება მოხდება შემდეგი პერიოდულობით:

#	ანგარიშის ტიპი	თარიღი
1	პირველი შუალედური ანგარიში (შინაარსობრივი და ფინანსური)	1 მაისი, 2011 წელი
2	მეორე შუალედური ანგარიში (შინაარსობრივი და ფინანსური)	1 აგვისტო, 2011 წელი
3	მესამე შუალედური ანგარიში (შინაარსობრივი და ფინანსური)	1 ნოემბერი, 2011 წელი
4	საბოლოო ფინანსური და შინაარსობრივი ანგარიში	1 თებერვალი, 2012 წელი

პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების წარმატების შეფასების მთავარი კრიტერიუმი იქნება მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები, რომელიც გაიმართება როგორც პროექტის დასაწყისში ასევე, მის დასასრულს. გამოკითხვა მოგვცემს საშუალებას შევადაროთ ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობების ეფექტი და შევაფასოთ რამდენად წარმატებით იქნა მიღწეული დასახული მიზნები.

ასევე პროექტის წარმატების განმსაზღვრელი იქნება გაწეული კონსულტაციების რაოდენობა, მომზადებული სიუჟეტებისა და სტატიების რაოდენობა, კერძოდ პროექტი წარმატებულად ჩაითვლება, თუ საანგარიშო პერიოდში:

- გაცემული იქნება 300 კონსულტაცია;
- გაიმართება ოთხი გასვლითი შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან;
- მომზადდება ოთხი სატელევიზიო სიუჟეტი (საგამოძიებო);
- ინფორმაცია განთავსდება ადგილობრივი გაზეთის 12 ნომერში;
- დაიწყება კონსულტაციები სახელმწიფო სტრუქტურებთან და სხვა მხარეებთან განსახლების საკითხებზე;
- მიღწეული იქნება შეთანხმება შესაბამის მხარეებთან განსახლების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობის თაობაზე.

## 7. პროექტის შესრულების განრიგი

საქმიანობა	თვე											
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
მოსახლეობის გამოკითხვა და ინფორმირება (პროექტში ჩართული ყველა ორგანიზაცია)												
შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან (პროექტში ჩართული ყველა ორგანიზაცია)												
ანგარიშის გამოქვეყნება საკუთრების უფლების დაცვის საკითხებზე (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია)												
საინფორმაციო ბროშურების ბეჭდვა მოსახლეობისათვის (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია)												
საინფორმაციო და საგამომიებო სტატიებისა და სიუჟეტების მომზადება, მედია კამპანია (რეგიონული მედია ასოციაცია)												
ანალიტიკური ანგარიშის მომზადება და გამოცემა განსახლების საკითხებზე (მწვანე ალტერნატივა)												
ანგარიშის საფუძველზე საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შემუშავება (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია)												
Position Paper-ის მომზადება და გამოქვეყნება(ყველა ორგანიზაცია)												
განსახლების სფეროში აუცილებელი ღონისძიებების გატარების ლობირება (მწვანე ალტერნატივა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია)												
ცხელი ხაზის მუშაობა (საერთაშორისო გამჭვირვალობა)												
იურიდიული დახმარების პუნქტები (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა)												
პრეზენტაციები (პროექტში ჩართული ყველა ორგანიზაცია)												

## 8. ბიუჯეტი (აშშ დოლარში)

ბიუჯეტი - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია					
#	სამუშაოს/მომსახურების დასახელება	საცალო ღირებულება	რაოდენობა	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	სულ
<b>1</b>	<b>ადამიანური რესურსი</b>				
1.1	პროექტის კოორდინატორი (1 ადამიანი *თვე)	700	12	8400	8400
1.2	იურისტი (2 რეგიონალურ ოფისში)	800	12	9600	9600
<b>სულ</b>					<b>18000</b>
<b>2</b>	<b>აღჭურვილობა</b>				
2.1	კომპიუტერი	900	1	900	900
2.2	პრინტერი	200	1	200	200
<b>სულ</b>					<b>1100</b>
<b>3</b>	<b>მგზავრობა</b>				
3.1	საწვავი და მგზავრობის ხარჯი	300	12	3600	3600
3.2	ტელეფონის გადასახადი	50	12	600	600
3.3	ინტერნეტი	50	12	600	600
<b>სულ</b>					<b>4800</b>
<b>4</b>	<b>პუბლიკაციები</b>				
4.1	ანგარიშის ბეჭდვა	1500	1	1500	1500
4.2	თარგმანი	340	1	340	340
4.3	ბროშურების ბეჭდვა	1	2000	2000	2000
<b>სულ</b>					<b>3840</b>
<b>5</b>	<b>სამუშაო შეხვედრები</b>				
5.1	შეხვედრის ორგანიზება	500	2	1000	1000
<b>სულ</b>					<b>1000</b>
<b>6</b>	<b>საკანცელარიო ხარჯები</b>				
6.1	საკანცელარიო საქონელი	30	12	360	360
<b>სულ</b>					<b>360</b>
<b>8</b>	<b>მოსაკრებელი</b>				
8.1	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	50	12	600	600
<b>სულ</b>					<b>600</b>
<b>9</b>	<b>საბანკო მომსახურება</b>				<b>300</b>
<b>ჯამი "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია"</b>					<b>30000</b>

ბიუჯეტი - მწვანე ალტერნატივა					
#	სამუშაოს/მომსახურების დასახელება	საცალო ღირებულება	რაოდენობა	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	სულ
<b>1</b>	<b>ადამიანური რესურსი</b>				
1.1	ანალიტიკოსი (თეორია) 1 ადამიანი X თვე	700	12	8400	8400
1.2	ანალიტიკოსი (პრაქტიკა) 1 ადამიანი X თვე	650	12	7800	7800
1.3.	მძღოლი	100	8	800	800
<b>სულ</b>					<b>17000</b>
<b>2</b>	<b>მომსახურება</b>				
<b>მგზავრობა - ანაკლია, ქობულეთი, მესტია</b>					
2.1	საწვავი (ლიტრი)	1.2	550	660	660
2.2	მგზავრობის დღიური ხარჯი 3 ადამიანი (მძღოლის ჩათვლით) X3 დღე X 3 გასვლა	15	27	405	405
2.3	სასტუმროს ხარჯი 3 ადამიანი (მძღოლის ჩათვლით) X2 ღამე X 3 გასვლა	50	18	900	900
<b>თარგმანი</b>					
2.4	კვლევის თარგმნა ინგლისურად	15	40	600	600
<b>ბეჭდვა</b>					
2.5	კვლევის ბეჭდვა ქართულად, 40 გვერდი, A4	2.5	500	1250	1250
2.6	კვლევის ბეჭდვა ინგლისურად, 32 გვერდი, A4	3	250	750	750
<b>მრგვალი მაგიდა</b>					
2.7	დარბაზის დაქირავება	1	400	400	400
2.8	ლანჩი, შესვენება ყავაზე	25	30	750	750
<b>სულ</b>					<b>5715</b>
<b>3</b>	<b>საბანკო მომსახურება</b>				<b>285</b>
<b>ჯამი "მწვანე ალტერნატივა"</b>					<b>23000</b>

ბიუჯეტი - რეგიონული მედია ასოციაცია					
#	სამუშაოს/მომსახურების დასახელება	საცალო ღირებულება	რაოდენობა	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	სულ
1	<b>8-გვერდიანი საგაზეთო დამატების მომზადება, მეჭდვა, გავრცელება (ყველა გამოძიება თავს მოიყრის და ერთიანად გამოიცემა ყველა რეგიონულ გაზეთში)</b>				
1.1	ჰონორარები	80	8	640	640
1.2	რედაქტირება	200	1	200	200
1.3	დიზაინი/დაკაბადონება	200	1	200	200
1.4	საკომუნიკაციო ხარჯები	50	1	50	50
1.5	ბეჭდვა	0.12	30000	3600	3600
1.6	ჩადების ღირებულება გაზეთებში	0.05	30000	1500	1500
1.7	გავრცელება (ყველა რეგიონში)	500	1	500	500
<b>სულ</b>					<b>6690</b>
2	<b>სატელევიზიო მასალების მომზადება (2 თვე, 2 გაშვება, 3 წუთიანი მასალა)</b>				
2.1	26 ტელევიზია, 2 თვე, 2 გაშვება, 3 წუთიანი მასალა	1500	2	3000	3000
2.2	მასალის მომზადება	350	2	700	700
<b>სულ</b>					<b>3700</b>
3	<b>მაღალტირაჟიან გამოცემებში ფართის შესყიდვა (10 გაზეთი, 2 თვეში ერთი სტატია)</b>				
3.1	საგაზეთო ფართის შესყიდვა (10 გაზეთი 1გვერდი*ნთვე*\$70)	60	70	4200	4200
3.2	საკომუნიკაციო და საბუღალტრო დოკუმენტაციის, ეგზემპლარების შეგროვება	30	6	180	180
<b>სულ</b>					<b>4380</b>
4	<b>კონსულტაციები ონლაინ რეჟიმში (3 ონლაინ პრესკონფერენცია)</b>				
4.1	საკომუნიკაციო ხარჯები	40	3	120	120
4.2	მცირე ხარჯი სტუმრისა და ჟურნალისტებისთვის	50	3	150	150
4.3	მასალების დამუშავება	50	3	150	150
<b>სულ</b>					<b>420</b>
5	<b>ადამიანური რესურსი</b>				
5.1	პროექტის კოორდინატორი	300	12	3000	3600
5.2	კოორდინატორის ასისტენტი	200	12	2400	2400
5.3	საწვავი და მგზავრობის ხარჯები	610	1	610	610
<b>სულ</b>					<b>6610</b>
6	საბანკო მომსახურება				200
<b>ჯამი "რეგიონული მედია ასოციაცია"</b>					<b>22000</b>

ბიუჯეტი - საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო					
#	სამუშაოს/მომსახურების დასახელება	საცალო ღირებულება	რაოდენობა	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	სულ
<b>1</b>	<b>სერვისი</b>				
1.1	თარგმნა	100	12	1200	1200
<b>სულ</b>					<b>1200</b>
<b>2</b>	<b>საკანცელარიო ხარჯები</b>				
2.1	კანცელარია	30	12	360	360
2.2	კარტრიჯი	100	4	400	400
<b>სულ</b>					<b>760</b>
<b>3</b>	<b>საკომუნიკაციო ხარჯები</b>				
3.1	ოფისის ტელეფონი, ინტერნეტი, მობილური	80	12	960	960
3.2	ცხელი ხაზი (შემომავალი და გამავალი ზარები)	60	12	720	720
<b>სულ</b>					<b>1680</b>
<b>4</b>	<b>საექსპლუატაციო ხარჯები</b>				
4.2	საწვავი	200	12	2400	2400
4.3	რეგიონალური გასვლების დროს საცხოვრებლის და სახარჯი თანხები	300	12	3600	3600
<b>სულ</b>					<b>6000</b>
<b>5</b>	<b>ადამიანური რესურსი</b>				
5.1	პროექტის კოორდინატორი	400	12	4800	4800
5.2	სამართლებრივი დახმარება	300	12	3600	3600
5.3	ცხელი ხაზის ოპერატორი	150	12	1800	1800
5.4	მძღოლი	80	12	960	960
<b>სულ</b>					<b>11160</b>
<b>6</b>	<b>საბანკო მომსახურება</b>				<b>200</b>
<b>ჯამი "საერთაშორისო გამჭვირვალობა"</b>					<b>21000</b>

**საბოლოო ჯამი \$96000**